09/06/2026

MES 5 26 0000689270

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დიმიტრი ცანავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს თბილისის მწვანე სკოლა- დიდ დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ- ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ- ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯაროსკოლა:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელისაბედ ბუსხრიკიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს ხერხემის კერძო სკოლა:
ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა:
ა) ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი უღრელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - თბილისის მწვანე სკოლა-დიღომი:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - თბილისის მწვანე სკოლა- დიდი დიღომი:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს - თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალო:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა:
ა) თინათინ გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ოზურგეთის N4 საჯარო სკოლა:
ა) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ფიქრია მუსერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლა:
ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ძირკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი. საბჭოს სხდომა 2026 წლის 25 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, ვინაიდან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიოჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს სხდომას ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი. დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარის დავალებით, მისი ფუნქციები შეასრულა საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქალაქ თბილისის № 175 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის № 82 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ სენაკის № 7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს თბილისის მწვანე სკოლა- დიდ დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ- ქალაქ ტყიბულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ- ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

საბჭოს თავჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შენობა ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ უარყოფითი დასკვნა. აქვე დასძინა, რომ დამატებითი გარემოებების გამოკვლევის მიზნით მიზანშეწონილი იყო სსიპ - ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №175 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს თბილისის მწვანე სკოლა- დიდ დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ- ქალაქ ტყიბულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. სსიპ - ქალაქ თბილისის №175 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 17 დეკემბრის №1567763 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2634 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 2618.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი სტანდარტის კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა „სრული“ შესაბამისობით.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ თბილისის №175 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის №175 საჯარო სკოლის (ს/კ: 200087191) მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. შპს - ხერხემის კერძო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 მარტის №322188 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 175 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 107.

ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების შეფასება.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი და მესამე სტანდარტის 3.1, 3.2, 3.3 და 3.4 კომპონენტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ნინო შიუკაშვილს სასკოლო ბიბლიოთეკის განახლებასა და სკოლაში პანდუსის არსებობასთან დაკავშირებით.

ნინო შიუკაშვილმა, აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულად ვერ წარმოადგინა, თუმცა შემდგომში წარდგენილი დოკუმენტებით ტექნიკური ხარვეზი სრულად აღმოიფხვრა და აღნიშნული საკითხი სტანდარტის მოთხოვნებს სრულ შეესაბამებოდა. რაც შეეხება პანდუსს, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბრძანებით განესაზღვრა პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარებას დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებისას. აღნიშნული რეკომენდაცია სკოლამ გაიზიარა.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლას. კერძოდ, მისი კითხვა შეეხებოდა სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის პროცესსა და წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხს.

სკოლის დირექტორმა, ბელა კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას უკვე ჰყავდა ორი ახალი მასწავლებელი და დამატებით გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია სხვა მასწავლებლების დასაქმების მიზნით.

რაც შეეხებოდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მისი თქმით, აღნიშნული მიმართულებით სკოლას უკვე გადადგმული ჰქონდა ქმედითი ნაბიჯები და უახლოეს მომავალში შეეცდებოდა ყველა რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულებას.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს სკოლაში არსებული თოთხმეტი უსტატუსო მასწავლებლის შესახებ. კერძოდ, იგი დაინტერესდა, რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღნიშნული პოზიციების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებით სკოლის დაკომპლექტება.

სკოლის წარმომადგენელმა, ბელა კაპანაძემ, აღნიშნა, რომ რეგიონში კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოძიება. მისი თქმით, სკოლა წლის ბოლომდე გამოაცხადებს ვაკანსიებს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმების მიზნით.

საბჭოს წევრმა, მანანა თურქაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ფინანსური უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ელოდებოდა საიჯარო შემოსავლის მიღებას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა დაწესებულებას ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - შპს ხერხემის კერძო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - შპს ხერხემის კერძო სკოლის (ს/კ: 224089420) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები**:** 1-ელი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.
საბჭოს თავჯდომარემ ეკატერინე წიფურიამ აღნიშნა, რომ საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის დროს შემოწმებულიყო ოთხივე სტანდარტი.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 01 ნოემბრის №1475528 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1500 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 1300.
ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი (სკოლის ფილოსოფია) და მეოთხე სტანდარტის (მოსწავლეთა უფლებები) შეფასება.
მისი განცხადებით, სკოლაში აღნიშნულ სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ გამოვლენილა, შესაბამისად, რეკომენდაციები არ გაცემულა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, სთხოვა სკოლის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც კმაყოფილების კვლევის ჩატარებას ეხებოდა.
სკოლის დირექტორმა, ნინო მიქიაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა აღნიშნული რჩევის გათვალისწინების მიზნით ქმედით ნაბიჯებს გადადგამდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 16:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის (ს/კ:208145283) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლის ხედვაში სკოლის სპეციფიკური კონტექსტისა და სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების ასახვის, სტრატეგიული განვითარების გეგმაში კონკრეტული, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორების განსაზღვრის, სამოქმედო გეგმის შედგენისას მიზნის შედეგთან/პრობლემასთან დაკავშირების, მკაფიო კავშირის ჩამოყალიბების, მონაცემთა ანალიზის კულტურის დანერგვის, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვის, მონიტორინგისა და უკუკავშირის მექანიზმის გაუმჯობესების, სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების

გადახედვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში შედეგებზე და მტკიცებულებებზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერების, სამოქმედო გეგმის შესრულების შემდგომი დაგეგმვისთვის მკაფიო მექანიზმების განსაზღვრის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების საფუძველზე გაღრმავებული ანალიზის განხორციელების, შესრულების შედეგების რეგულარულად განხილვის, კმაყოფილების კითხვარის შემუშავებისა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრების დაგეგმვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს მოსაზრებით, დაწესებულების მიმართ გაცემული იყო ისეთი რჩევები, რომელიც აუცილებელი იყო სკოლისთვის, შესაბამისად, რჩევები სკოლას განესაზღვრა ინფორმირების წარმოდგენის ვალდებულებად.

4. სსიპ - ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირინა დვალმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №1567767 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 400 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 311.

ექსპერტმა, ირინა დვალმა, განმარტა, რომ ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გადამოწმება. ექსპერტის განმარტებით, 1.2.1.4 ინდიკატორის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არ იყო შესრულებული. საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რჩევების შესრულების შესახებ. იგი დაინტერესდა, რამდენად იყო გათვალისწინებული ეს რჩევები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში და რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა მათი შესრულების მიზნით.

სკოლის დირექტორმა, ბიძინა ტაბაღუამ, აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობდა აღნიშნული რჩევების გათვალისწინებაზე.

საბჭოს წევრმა, დავით მალაზონიამ, დაწესებულებას კითხვით მიმართა, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული წინა რეკომენდაციები.

სკოლის დირექტორმა, ბიძინა ტაბაღუამ, აღნიშნა, რომ რეკომენდაცია საკმარისად დეტალიზებული არ იყო, რის გამოც საკითხის სრულფასოვნად მოწესრიგება ვერ მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:03
დასრულების დრო: 16:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის (ს/კ:239885095) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/ერთეულების განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. შპს - თბილისის მწვანე სკოლა - დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის

პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მესამე სტანდარტის შემოწმება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტი თავდაპირველად შეფასდა უარყოფითად, თუმცა დაწესებულების მიერ განხორციელებული მყისიერი რეაგირების შედეგად, საბჭოს განხილვის ეტაპისთვის ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიღომში სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 16:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიღომის (ს/კ: 401959528) მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. შპს - თბილისის მწვანე სკოლა - დიდ დიღომში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის

პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მესამე სტანდარტის შემოწმება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტი „შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს“.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს თბილისის მწვანე სკოლა-დიდ დიღომში მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:33
დასრულების დრო: 16:47

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის მწვანე სკოლა - დიდი დიღომის (ს/კ: 211357020) მონიტორინგთან დაკავშირებით.

7. შპს - თბილისის მწვანე სკოლა - საბურთალოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არა გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მესამე სტანდარტის შემოწმება. მისი თქმით, აღნიშნული სტანდარტი „შეესაბამებოდა სტანდარტისმოთხოვნებს“.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალოში მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის მწვანე სკოლა-საბურთალოს (ს/კ:405632356) მონიტორინგთან დაკავშირებით.

8. სსიპ- ქალაქ ტყიბულის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის №1691968 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 150 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 146.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი სტანდარტის შეფასება. მისი თქმით, დოკუმენტების შესწავლისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით გაიცა რეკომენდაცია. შესაბამისად, 2026 წლის 15 სექტემბრამდე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის გამოსწორებას.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ- ქალაქ ტყიბულის №2 საჯარო სკოლაში მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:02
დასრულების დრო: 17:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის (ს/კ: 219634849) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერების პრიორიტეტების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახვის და სამოქმედო გეგმის სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს

წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 182. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 182 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, მესამე სტანდარტი (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) და სამივე საფეხურის კურიკულუმები შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, ხოლო დანარჩენი სტანდარტები შეფასდა, როგორც „შესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, თინათინ გიორგაძეს მიმართა კითხვით, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. თინათინ გიორგაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ხუთი მოსწავლე ირიცხებოდა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რეგიონში სპეციალური მასწავლებლების დეფიციტი იყო და სკოლა მუდმივად აცხადებდა სპეციალური მასწავლებლის ვაკანსიას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 182 ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:18
დასრულების დრო - 17:32

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლას (ს/კ:242007350) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 182-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოხნარი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოხნარი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოხნარი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სპეცმასწავლებლის დასაქმების და სპორტული დარბაზის მოწყობის, **2 027 წლის სექტემბერში** სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის და **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. მან განაცხადა, რომ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 19 და 20 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, განმარტა, რომ ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. მისი განმარტებით, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ასახულია გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები და განსაზღვრულია მათი შესრულების კონკრეტული ვადები. საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა ზაზა ჭანტურიას და სთხოვა დაეზუსტებინა, სად იყო განთავსებული სათვალთვალო კამერებისთვის გამოყოფილი სივრცე.

ზაზა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული სივრცე დროებით განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, ვინაიდან სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რატომ იყო შესაბამისობის გეგმაში სამედიცინო კაბინეტში ონკანის მოწესრიგების საკითხი 2028 წლამდე გაწერილი. სკოლის დირექტორმა, ლევან კილაძემ, აღნიშნა, რომ სასმელი წყლის პრობლემის აღმოფხვრისთანავე მოხდება სამედიცინო კაბინეტის ონკანით უზრუნველყოფა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:34
დასრულების დრო - 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლას (ს/კ:247861602) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭვანა (2 შენობა) 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6 მე-2-კორპუსი შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცივაძეები, მე 3 ქ. N 8
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭვანა (1 შენობა) - 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი. სოფელი ჭვანა (1 შენობა) 1 -ლი კორპუსი; სოფელი ჭვანა, მე 4 ქ. 1-ლი ჩიხი, N 6

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმების, **2027 წლის სექტემბერში** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, **2028 წლის სექტემბერში** სამედიცინო კაბინეტში ონკანის დამონტაჟების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში გამწოვის დამონტაჟებისა და წყლის მოწყობის, რესურს-ოთახის, პანდუსების მოწყობის, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:59 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე

ე. წიფურია

ელექტრონული
ფასამეხსმეღლის
ელექტრონული